გარდაბნის მუნიციპალიტეტი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ ქ. გარდაბანში აღმაშენებლის ქუჩა #36-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება.

საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **2134 (ორიათას ასოცდათოთხმეტი)** ლარს. ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

კონკურსში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა პროექტი უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა (კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: საპროექტო დოკუმენტაცია (4 ეგზემპლიარი ელ. ვერსია), მოცულობათა უწყისი, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია).

2. **კონკურსში მონაწილეობის საფასური:**

2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით **(50 ლარი).** საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge)

2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საინდიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 26 მარტს 13:00 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 26 მარტს 13:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი დ. აღმაშენებლის №73 პირველი სართული (საკრებულოს კანცელარია).

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღე.

5. **კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკვლიფიკაციო დუკუმენტები:**

იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან;

ფიზიკური პირებისათვის (ი.მ):

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან;

6. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

7. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაციაწარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

8. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

8.1. საკონკურსო წინადადება(დანართ №1 შესაბამისად);

8.2. ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;

8.3. ბოლო ორი წლის განმ,ავლობაში გამოცდილება ანალოგიური სამუშაოების ჩატარების კუთხით გამოხატული (დადასტურებული შესაბამისი მიღება-ჩაბარებისა ან ანგარიშფაქტურის (სასაქონლო ზედნადები) საშუალებით (ასლები));

8.4. კონკურსანტის რეკვიზიტები;

9. კონკურსი ტარდება ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

10. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო აპარატში,
საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ დუჩიძე საკონკურსო კომისიის წევრი;
მისამართი: ქ.გარადაბანი დ.აღმაშენებლის №127 ტელეფონი: 577 955 479.

ტექნიკური დავალება

დასაპროექტებელი სამუშაოს აღწერა

1. არსებული კარებების, ტიხრების, ფანჯრებისა და ვიტრაჟების დემონტაჟი;
2. არსებული კედლების მონგრევა;
3. ტიხრების ამოშენება და მოწყობა;
4. კედლების ღობების ამოშენება წვრილი სამშენებლო ბლოკით;
5. ვიტრაჟების და ფანჯრების მოწყობა მეტალოპლასტმასით;
6. ფარდა ჟალუზების მოწყობა;
7. ლითონისა და მდფ–ის კარების მონტაჟი;
8. შიდა კარებების მოწყობა მეტალოპლსამსტმასით;
9. რკინა–ბეტონის საძირკვლისა და სვეტის მოწყობა (მ-300);
10. იატაკის მოწყობა ლამინატითა და კერამიკული ფილებით;
11. შეკიდული ჭერის მოწყობა თაბაშირ–მუყაოსა (შეღებვა) და პლასტმასის ფილებით;
12. შეკიდული ჭერის მოწყობა ამსტრონგით;
13. კიბის შერემონტება და მოპირკეთება კერამიკული ფილებით;
14. კედლების მოპირკეთება მოჭიქული ფილებით (კაფელი);
15. შედა კედლების ჩამოფხეკა–გასუფთავება, გაჯით შელესვა და შეღებვა;
16. ფასადების დაფარვა ეკლარის ქვით;
17. წყლის პლასტმასის ავზის მოწყობა (2ტ);
18. სველი წერტილების მოწყობა (უნიტაზის, ხელსაბანის, და ტრაპის მოწყობა);
19. პლასტმასის საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის მილების მონტაჟი;
20. ახალი ელ გაყვანილობის მოწყობა (შტეფსელების, ჩამრთველების დაყენება);
21. სანათი ამსტრონგის მოწყობა ჭერში;
22. სანათის მოწყობა შეკიდულ ჭერში;
23. სპლიტ სისტემის მოწყობა დიდი;
24. სპლიტ სისტემის მოწყობა პატარა;
25. თერმექსის მოწყობა.

<u>შენიშვნა:</u> გამარჯვებულმა კონკურსანტმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები და არქიტექტურული დეტალები. ასევე გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია აწარმოოს საავტორო ზედამხედველობა სამუშაოების მიმდინარეობაზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი კორექტივები დამზადებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში (შემსყიდვბელის მხრიდან უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით).

საკონკურსო წინადადების წარმოდგენით კონკურსანტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნაზე.

სამუშაოს ღირებულება (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციანად) არ უნდა აღემატებოდეს 90000 (ოთხმოცდაათი) ლარს

პირველ რიგში უპირატესობა მიენიჭება წარმოდგენილ ფასს. რამოდენიმე კონკურსანტის არსებობის შემთხვევაში თუ შემოთავაზებული ფასი იქნება ერთიდაიგივე, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩევის მეორე კრიტერიუმი იქნება შესრულებული საპროექტო-სამუშაოების გამოცდილება ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში (გამოცდილება ლარებში) და მესამე კრიტერიუმი საპროექტო-სამუშაოების შესრულების ვადები (რა ვადებში იქნება წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია).

საკონკურსო წინადადება

თარიღი: ___________________________

ვის:

____

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან:

____

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ ____

____

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

შესრულება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:
———————— (ციფრებით)
ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ სამუშაოს შესრულება —————————— დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ „ხელშეკრულება“) ძალაში შესვლიდან ——————————— დღეში *(საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად*
აქ შეიძლება ჩაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები ან დაწყება-დასრულების კონკრეტული
თარიღი).

წინამდებარე საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან ———— დღე

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.
საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):*
1.
2.
3.
.
.______________________________

____

(ხელმოწერა) (თანამდებობა)

____

____

(პრეტენდენტის დასახელება)

* საკონკურსო დოკუმენტაციაში მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია, მასალები, ცნობები.).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ერთი მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი (მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ხანახმედ გარიბოვის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ, შ.---------- (მის: ----------) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი“).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ,,ტექნიკური დავალება“ - სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი (სამსახურის უფროსი ან უფლებამოსილი პირი) გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

6. მომსახურების დასრულების ვადა

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადაა ----------.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის გადაუხადოს „მიმწოდებელს" შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 **„მიმწოდებელი" ვალდებულია**:

ა) სათანადო ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულება.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" ვალდებულების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ინსპექტირების პირობები

8.1 ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებულ ვალდებულებას ინსპექტირებას უწევს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

8.2 არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებას ინსპექტირების ჯგუფი აფიქსირებს ოქმით. აღნიშნულის გამოსწორება ხდება „მიმწოდებელი"-ს მიერ საკუთარი ხარჯებით

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგადამტეხლო ყოველ ვადაგადავილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგადამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგადამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის ---------- ჩათვლით.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი”
გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობა მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73 საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204 ს.ს. „ლიბერთი ბანკი”-ს ბ.კ. № LBRTGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს მოადგილე:

ხანახმედ გარიბოვი